შპს თბილისის ექსპერტიზის ბიურო LTD TBILISI EXPERTISE BUREAU	ინსპექტირების ანგარიში **TEB-SP11-RP006/2**	

მის.: ქ. თბილისი, ლვოვის ქ.N2 ტელ.: (+995) 577 02 78 23

ინსპექტირების პერიოდი: 13/01/2025-03/02/2026 გაცემის თარიღი: 03/02/2026

ინსპექტირების ანგარიში

დამკვეთი: შპს დადიანი ინვესტი (ს/ნ 405766381)

ობიექტების იდენტიფიკაცია: ქ. თბილისში, ც. დადიანის ქ.N 32 რკინიგზის ქ.N 30 (ს.კ. 01.12.12.036.001) მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი კომპლექსის B-ბლოკი და პარკინგი.

შემსრულებელი: შპს თბილისის ექსპერტიზის ბიურო (ს/ნ 402174099)

ტექნიკური მენეჯერი: ნინო გელაძე

ინსპექტორი: ნინო გელაძე

განაცხადის N: TEB-AN-006

ხელშეკრულების N: TEB-ST-006

ინსპექტირების წინაშე დასმული საკითხი: ქ. თბილისში, ც. დადიანის ქ. N 32 და რკინიგზის ქ.N 30 (ს.კ 01.12.12.036.001) მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი კომპლექსის B-ბლოკი და პარკინგის სამშენებლო სამუშაოების ზეგავლენის შეფასება მომიჯნავე შენობებზე (საკადასტრო კოდები: 01.12.12.035.004, 01.12.12.115.127, 01.12.07.021.327, 01.12.12.035.003, 01.12.12.011.130, 01.16.01.005.322) და შესაბამისი ინსპექტირების ანგარიშის მომზადება



საქართველოს აკრედიტაციის ეროვნული ორგანო –
აკრედიტაციის ცენტრი

აკრედიტაციის მოწმობა

GAC-IB-0380

ადასტურებს, რომ

შპს „თბილისის ექსპერტიზის ბიურო“-ს

A-ტიპის ინსპექტირების ორგანო

აკრედიტებულია სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013-ის
მოთხოვნებთან შესაბამისობაზე თანდართულ სფეროში
მის.: ქ. თბილისი, ლვოვის ქუჩა №2

გაცემულია: 2024 წლის 30 დეკემბერი
ძალაშია: 2027 წლის 13 სექტემბერი

იხ. სფერო და სტატუსი

გენერალური დირექტორი

მისამართი: საქართველო, თბილისი 0119, აკ. წერეთლის გამზ. № 67ა www.gac.gov.ge

შპს თბილისის ექსპერტიზის ბიუროს პერსონალი მოქმედებს სსტ ისო 17020:2012/2013 სტანდარტის საფუძველზე შედგენილი ინსპექტირების ორგანოს მიუკერძოებლობის, დამოუკიდებლობის და კონფიდენციალურობის დეკლარაციების შესაბამისად.

გაფრთხილება ინსპექტორების და ტექნიკური მენეჯერების უფლება-მოვალეობებზე და პასუხისმგებლობაზე

შპს თბილისის ექსპერტიზის ბიუროს, A ტიპის ინსპექტირების ორგანოს ინსპექტორები და ტექნიკური მენეჯერები გაცნობილნი ვართ ინსპექტორის/ტექნიკური მენეჯერის უფლება-მოვალეობებს, რაც გათვალისწინებულია თანამდებობრივი ინსტრუქციით და გაფრთხილებულნი ვართ ვალდებულებაზე ინსპექტირების ჯეროვნად და მიუკერძოებლად ჩატარების შესახებ.

გაფრთხილება ინტერესთა კონფლიქტის და კონფიდენციალურობის შესახებ

ინსპექტორები და ტექნიკური მენეჯერები ინსპექტირების დაწყებამდე წერილობით გაფრთხილებულნი ვართ ჩვენი ვალდებულების შესახებ, განვაცხადოთ ნებისმიერი გარემოებების თაობაზე, რომლებიც გამოვლინდებოდა ინსპექტირების ჩატარების ნებისმიერ ეტაპზე, რაც წარმოშობს ინტერესთა კონფლიქტს და საფრთხეს შეუქმნის ინსპექტირების მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობას. ასეთი გარემოებები დადგენილი არ ყოფილა.
ინსპექტორები და ტექნიკური მენეჯერები ასევე გაფრთხილებულნი ვართ წერილობით ინსპექტირების ჩატარების დროს მიღებული ან წარმოქმნილი ნებისმიერი სახის ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის შესახებ.

ინსპექტორი: ნინო გელაძე

ტექნიკური მენეჯერი: ნინო გელაძე

წარმოდგენილი მასალები

1. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა;
2. გეოფიზიკის კვლევის ანგარიში;
3. არქიტექტურული ნაწილი;
4. კონსტრუქციული ნაწილი („B“ ბლოკის და პარკინგის) ანგარიშით.

დამკვეთი პასუხისმგებელია მოწოდებული დოკუმენტაციისა და ინფორმაციის სისწორეზე.

გამოყენებული ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

1. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 1);
2. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 2);
3. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 3);
4. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილებაში N71);
5. ინსპექტირების ორგანოს პროცედურა TEB-SP11.

კვლევითი ნაწილი

შპს თბილისის ექსპერტიზის ბიუროს მიმდინარე წლის 13 იანვარს მომართა შპს დადიანი ინვესტმა (ს/ნ 405766381) ქ. თბილისში, ც. დადიანის ქ. N32 და რკინიგზის ქ. N30 (ს.კ. 01.12.12.036.001) არსებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი კომპლექსის B- ბლოკის და პარკინგის სამშენებლო სამუშაოების მომიჯნავე შენობებზე ზეგავლენის შეფასების და შესაბამისი ინსპექტირების ანგარიშის მომზადების თაობაზე, (საკადასტრო კოდები: 01.12.12.035.004, 01.12.12.115.127, 01.12.07.021.327, 01.12.12.035.003, 01.12.12.011.130, 01.16.01.005.322) ხელშეკრულება TEB-ST-006-ის ფარგლებში.

ინსპექტირებაზე წარმოდგენილია ქ. თბილისში, ც. დადიანის ქ. N32 და რკინიგზის ქ. N30 (ს.კ. 01.12.12.036.001) მიწის ნაკვეთზე არსებული საცხოვრებელი კომპლექსის B ბლოკის და პარკინგის კონსტრუქციული პროექტები, წარმოდგენილი დოკუმენტაცია ეყრდნობა შპს გეოინჟკომპლექსის მიერ ჩატარებულ საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის და გეოფიზიკური კვლევის ანგარიშს.

ინსპექტირებისას განხორციელდა საპროექტო ტერიტორიის ვიზუალური დათვალიერება, რის შედეგადაც დგინდება, რომ იგი ხასიათდება რთული გეომორფოლოგიური და ტექნოგენური პირობებით. გრუნტის გეოლოგიური ჭრილი წარმოდგენილია შემდეგი ძირითადი ფენებით:

ფენა 1 (tQ_{IV}) – ნაყარი გრუნტი (სისქე – 2,5–8.0 მ), ხასიათდება არაერთგვაროვნებით და მაღალი კუმშვადობით;

1) ფენა 2-3 – ალუვიურ-დელუვიური თიხნარები და კენჭნაროვანი გრუნტი;

2) ფენა 5 – ძირითადი ქანი – ზედა ეოცენის თიხოვანი ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობა საანგარიშო წინაღობაა R_c = 11,1 მპა, დრეკადობის მოდული E = 2607 მპა კუთრი წონა – 2,33 ტ/მ³. პუასონის კოეფიციენტი μ = 0,20.

შენობის საძირკვლისთვის შერჩეულია ფენა 5.

წყლის დონე ფიქსირდება ზედაპირიდან 5,5-8,2 მ სიღრმეზე სამშენებლო მოედანი მდებარეობს 8 ბალიან სეისმური აქტივობის ზონაში სეისმური აჩქარების კოეფიციენტით A=0,188 (გეოფიზიკური კვლევების შედეგად).

გრუნტის კატეგორია სეისმური თვისებების მიხედვით – II (ᲡᲜ 01.01-09 შესაბამისად).

ქარის ნორმატიული დატვირთვა w_0= 85 კგძ/მ² თოვლის დატვირთვა q = 50 კგ/მ².

1. საცხოვრებელი კორპუსი – ბლოკი „B“ შედგება 24 სართული მიწისზედა და 1 მიწისქვეშა სართულით. კონსტრუქციული სისტემა – მონოლითური რკინა-ბეტონის ჩარჩოკავშირებიანი (დიაფრაგმული) სისტემაა, გეგმარებითი ზომები ღერძებში: 61,48×15,4 მ, მაქსიმალური სიმაღლე – დაახლოებით 81,35 მ.

2. პარკინგის შენობა – 3 მიწისზედა და 1 მიწისქვეშა სართულია, კონსტრუქციული სისტემა ჩარჩოვანი გეგმაში მართკუთხა მოხაზულობის ზომებით: 61,48×13,6 მ. შენობა ხისტკვანძებიან მონოლითურ რკინა-ბეტონის ჩარჩოვან სისტემას წარმოადგენს.

შენობების სივრცითი მდგრადობა უზრუნველყოფილია ურთიერთპერპენდიკულარული დიაფრაგმებითა და სიმტკიცის ბირთვებით (ლიფტის შახტები და კიბის უჯრედები).

საძირკველი ხიმინჯოვანია მონოლითური როსტვერკით, (შემკრავი ფილა) ხიმინჯების დიამეტრი საცხოვრებელ ბლოკში - 150 სმ-ია, ხოლო პარკინგი – 80 სმ. ჩაანკერება ძირითად ქანში ხდება მინიმუმ – 1,5-5,0 მ.

შემკვრელი ფილის სისქე საცხოვრებელ ნაწილში – 150 სმ-ია, ხოლო პარკინგის ნაწილში – 50 სმ.

ხიმინჯებში და როსტვერკში B30(C30/37) კლასის ბეტონია გამოყენებული, ძირითადი მზიდი ელემენტები სვეტები სხვადასხვა კვეთისაა, ,,B“ ბლოკში – 110×50 სმ, 90×50 სმ, 70×50 სმ,140×60 სმ. მონოლითური კედლები - 30,26 სმ. სართულშუა გადახურვის ფილა -მ18, 22, 30 სმ. რიგელები -50×50 სმ და 50×30 სმ. კონსტრუქციულ ელემენტებში გამოყენებულია – B500B და B240B კლასის არმატურა.

პარკინგის მზიდი ელემენტები: რიგელები - 50×50 სმ, სვეტები - 50×50 სმ.

მონოლითური კედლები - 30 სმ.

სართულშუა გადახურვის ფილა – 18 სმ.

ანგარიშები შესრულებულია პროგრამა LIRA-SAPR2022-ს გამოყენებით. სასრული ელემენტების მეთოდის საფუძველზე. საცხოვრებელი ბლოკის საკუთარი რხევის პირველი პერიოდი T_1=2,7 წმ, T_2=2,31 წმ, T_3=1,93 წმ-ია, რაც დამახასიათებელია მაღლივი შენობებისათვის, პარკინგის ნაწილში T_1 = 2,13 წმ. „B“ ბლოკის ხიმინჯის ძირზე მოსული მაქსიმალური გრძივი ძალა საანგარიშო დატვირთვების ძირითადი შეხამებისას შეადგენს 2200 ტ.

პარკინგის შენობის საკუთარი რხევის პერიოდია T_1=0,83 წმ, T_2=0,79 წმ, T_3=0,77 წმ.

ანგარიშში გამოყენებულია:

სტატიკური მუდმივი – საკუთარი წონა 450 კგ/მ² (ბინები), 250 კგ/მ² (კიბე);

სტატიკური დროებითი – 200 კგ/მ² (ბინები), 360კგ/მ² (კიბე), 100 კგ/მ² (სახურავი);

ხიმინჯის ძირზე საშუალო გრძივი ძალა საანგარიშო დატვირთვათა ძირითადი შეხებისას შეადგენს 380 ტ.

ინსპექტირებაზე წარმოდგენილი შენობის „B“ ბლოკის და პარკინგის ანგარიშების მიხედვით შენობის სიმაღლის თანაფარდობა დაცულია, რაც ხიმინჯოვანი საძირკვლის მუშაობასთან ერთად გარანტიას იძლევა შენობის მდგრადობაზე.

სეისმური ანგარიშისას მასების მონაწილეობის ფაქტორი შეადგენს 95-97%, რაც აკმაყოფილებს ნორმატიულ მოთხოვნებს.

ტერიტორიის სიახლოვეს მდებარეობს რკინიგზის ხაზი (რკინიგზის ქუჩის მხრიდან) არსებული საცხოვრებელი, სახლები და სამრეწველო განაშენიანება.

1. საკადასტრო კოდები: 01.12.12.035.003 და 01.12.12.035.004 წარმოადგენენ თანამედროვე ტიპის მრავალსართულიან საცხოვრებელ კომპლექსებს. კონსტრუქციული სისტემა არის მონოლითური რკინა-ბეტონის კარკასი. საძირკველი მონოლითური (ფილოვანი ან ხიმინჯოვანი), ვინაიდან ამ ზონაში ნაყარი გრუნტის სისქე დიდია.

2. საკადასტრო კოდები: 01.12.12.011.130 და 01.12.12.011.127 წარმოადგენენ ერთ-ორ სართულიან ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლებს. კონსტრუქციული მასალა: აგური, ქვა, ხის გადახურვები. ამ შენობების ამორტიზაციის ხარისხი მაღალია. მათ არ გააჩნიათ სეისმური სარტყლები და ხისტი კარკასი.

3. საკადასტრო კოდი: 01.13.07.021.327 წარმოადგენს საინჟინრო-ინფრასტრუქტურული დანიშნულების ნაკვეთს, რომელიც ესაზღვრება სარკინიგზო მაგისტრალს. მოიცავს რკინიგზის დამხმარე ნაგებობებს, ტექნიკურ ზოლს.

4. საკადასტრო კოდი: 01.16.01.005.322 - ფიქსირდება ორი შენობა. ერთი მცირე ზომის ერთსართულიანი ნაგებობა (2,5 x 2მ) და მეორე ორსართულიანი შენობა ნახევრად სარდაფით. საორიენტაციო ზომები: 10 x 11მ; აშენებულია XX-საუკუნის 70-80-იან წლებში. აღნიშნული შენობები რკინიგზის დამხმარე ნაგებობებია და ახლოსა არის რკინიგზის მაგისტრალთან.

ინსპექტირებაზე წარმოდგენილი პროექტის მიხედვით რკინიგზის ვაკისი იმყოფება ახალი მშენებლობის უშუალო სიახლოვეს. ნებისმიერი დეფორმაცია ქვაბულის მხარეს გამოიწვევს რელსების გეომეტრიის დარღვევას; გავლენა ორმხრივია – მატარებლის ვიბრაცია მოქმედებს ახალი მშენებლობის კედლებზე, ხოლო მშენებლობა – რკინიგზის კომუნიკაციებზე. მაღლივი ობიექტის (24 სართული

სიმაღლე 81,35 მ) მშენებლობა მოითხოვს გრუნტის მასივის ძაბვით მდგომარეობის ცვლილების ზუსტ პროგნოზირებას.

ინსპექტირებაზე წარმოდგენილი „B“ ბლოკი და პარკინგი წარმოადგენენ მონოლითურ ხისტკვანძებიან რკინა-ბეტონის ჩარჩოვან სისტემას, ამიტომ „B“ ბლოკის და პარკინგის ხიმინჯოვანი საძირკველი მომიჯნავე ნაგებობებისთვის უსაფრთხო გადაწყვეტაა, რადგან შენობა „B“ ბლოკი და პარკინგიც ეყრდნობა ხიმინჯებს, რომლებიც გადის სუსტ ფენებს და ეყრდნობა კლდოვან გრუნტს. ძაბვითი გავლენის ბოლქვი ლოკალიზებულია დიდ სიღრმეზე. ეს ნიშნავს, რომ მომიჯნავე შენობების ქვეშ არსებულ ზედაპირულ გრუნტებში დამატებითი ვერტიკალური ძაბვები არ აღემატება ნორმატიულს 0,1 – ეს კი მომიჯნავე შენობებისთვის უსაფრთხოების გარანტიაა. ასევე ხიმინჯების მოწყობით მინიმუმამდეა დაყვანილი ვიბრაციული ტალღები. ეს კი მნიშვნელოვანია რკინიგზის ინფრასტრუქტურისა და ძველი განაშენიანების შენობების მდგრადობის შესანარჩუნებლად. აღსანიშნავია, რომ ხიმინჯები არ წარმოადგენს ბარიერს მიწისქვეშა წყლების ჰორიზონტალური დინებისთვის, რაც გამორიცხავს მეზობელ ნაკვეთებზე გრუნტის წყლის დონის ხელოვნურ აწევას.

ინსპექტირებაზე წარმოდგენილი ანგარიში, რომელიც ჩატარებულია LIRA-SAPR-2022 (R1.1) პროგრამაში შენობის ჰორიზონტალური გადახრა აკმაყოფილებს Eurocode 8-ის მოთხოვნებს, რაც გამორიცხავს რისკს.

ინსპექტირებაზე წარმოდგენილია სამშენებლო მოედნის გეოფიზიკური კვლევა დამანგარიში, კონსტრუქციული პროექტის ურთიერთთავსებადობაზე. გეოფიზიკური კვლევა ადგენს გრუნტის დინამიკურ მახასიათებლებს, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენენ სეისმურ დატვირთვებზე. გეოფიზიკური დასკვნის მიხედვით, საპროექტო არეალში დაფიქსირდა შემდეგი მნიშვნელობები:

V (განივი ტალღის სიჩქარე): საშუალო მნიშვნელობა დაახლოებით 380-420 მ/წმ. აღნიშნული სიჩქარეების მიხედვით, ობიექტი მიეკუთვნება II კატეგორიის გრუნტებს (საშუალო სიმკვრივის).

ინსპექტირებაზე წარმოდგენილი კონსტრუქციული ნაწილის ანგარიშებში (როგორც საცხოვრებელი, ისე პარკინგის ბლოკებისთვის) გაანგარიშება შესრულებულია LIRA-SAPR 2022-ში. საანგარიშო მოდელში სეისმური ზემოქმედების სპექტრის შერჩევისას მითითებულია II კატეგორიის გრუნტი, რაც სრულ შესაბამისობაშია გეოფიზიკურ დასკვნასთან.

ხიმინჯების დიამეტრი (1,5 მ) და განლაგება შერჩეულია სწორად სვეტების და მზიდი კედლების ღერძებთან. ხიმინჯები გადის ნაყარ და თიხნარ ფენებს და ეყრდნობა ძირითად კლდოვან ქანს. როსტვერკის სისქე (1,5 მ) აუცილებელია ხიმინჯებზე წერტილოვანი დატვირთვების თანაბარი გადანაწილებისათვის და გაგლეჯაზე სიმტკიცის უზრუნველსაყოფად. სვეტებში გამოყენებული

არმატურა ∅22,25. სვეტებში არმირების პროცენტული მაჩვენებელი არ აღემატება ნორმას 4% (სეისმური შეერთების ადგილებში), ხოლო კედლების და დიაფრაგმების სისქე (300 მმ, 400 მმ და ზოგან 250 მმ) ეწინააღმდეგებიან შენობის გადაყირავების მომენტს სეისმური ბიძგების დროს.

აღსანიშნავია, რომ შენობის „B“ ბლოკსა და პარკინგს შორის მოწყობილია ტემპერატურული-სეისმური ნაკერი. ამიტომ წარმოდგენილი კონსტრუქცია ხასიათდება მეტი საიმედოობით.

გეოფიზიკური კვლევა მიუთითებს გრუნტის საკუთარი რხევის პერიოდზე T 0.35-0.45 წმ.

ინსპექტირებაზე წარმოდგენილ კონსტრუქციულ ანგარიშში (პარკინგის ნაწილი) საძირკვლის გაანგარიშებისას გამოყენებულია გრუნტის საგები კოეფიციენტი - C 1 და C 2.

პარამეტრი	ეოფიზიკური/გეოლო იური მონაცემი	პროექტში გამოყენებული	შესაბამისობა
პირობითი წინაღობა (R₀)	350-400 კპა	450 კპა	✅ სრული
გრუნტის წყლის დონე	-5.0 მ-ზე ქვემოთ	ათვალისწინებულია ჰიდროიზოლაცი	✅ სრული
ფენების განლაგება	თიხნარი და გამოფიტული ქანი	მოდელირებულია ფენობრივად	✅ სრული

ინსპექტირებისას ჩატარებული კვლევის მიხედვით, მომზადდა შესაბამისი რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია გეოფიზიკურ კვლევაში მოცემული დინამიკური მახასიათებლები (კერძოდ, გრუნტის პირობითი პერიოდები) სრულად იქნას ასახული LIRA-SAPR-ის სეისმური დატვირთვის ცხრილში;
2. რეკომენდირებულია C.1/C.2 კოეფიციენტების გადათვლა უშუალოდ გრუნტის მოდულით, გეოფიზიკური კვლევით მიღებული დეფორმაციის მოდულების საფუძველზე, რაც ზრდის საძირკვლის ჯდომის ანგარიშის სიზუსტეს;
3. ვინაიდან ინსპექტირებაზე წარმოდგენილი ორი ბლოკი და პარკინგი სხვადასხვა სიმაღლისაა, აუცილებელია ანტისეისმური ნაკერის ზუსტი გაანგარიშება, რათა არ მოხდეს მათი შეჯახება რხევისას.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე დადგინდა, რომ ქ. თბილისში, ც. დადიანის ქ. N 32 და რკინიგზის ქ. N 30-ში ტერიტორიაზე ასაშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის ,,B” და პარკინგის მშენებლობის კონსტრუქციული პროექტი მომზადებულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების მიხედვით. გეოფიზიკური კვლევის შედეგები გამოყენებულია გრუნტის კატეგორიისა და საანგარიშო სეისმურობის დასადგენად.

კონსტრუქციული ელემენტების (სვეტები, რიგელები, დიაფრაგმები) კვეთები ადეკვატურია ამ ზონაში არსებული გეოლოგიური პირობებისათვის. ჩატარებული კვლევებით და ანგარიშებით დასტურდება, რომ ქ. თბილისში, ც. დადიანის ქ. N 32 და რკინიგზის ქ.N 30 (ს.კ. 01.12.12.036.001) მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი კომპლექსის ,,B" ბლოკის და პარკინგის სამშენებლო სამუშაოები არ მოახდენს უარყოფით ზეგავლენას შემდეგ მომიჯნავე შენობა ნაგებობებზე: საკადასტრო კოდები: 01.12.12.036.001; 01.12.12.035.004; 01.12.12.115.127; 01.12.07.021.327; 01.12.12.035.003; 01.12.12.011.130; 01.16.01.005.322.

დასკვნა

ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ თბილისში, ც. დადიანის ქ. N32 და რკინიგზის ქ.N30 (ს.კ. 01.12.12.036.001) მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი კომპლექსის „B" ბლოკის და პარკინგის სამშენებლო სამუშაოები არ მოახდენს უარყოფით ზეგავლენას შემდეგ მომიჯნავე შენობა ნაგებობებზე: ს.კ 01.12.12.036.001; ს.კ 01.12.12.035.004; ს.კ 01.12.12.115.127; ს.კ 01.12.07.021.327; ს.კ 01.12.12.035.003; ს.კ 01.12.12.011.130; ს.კ 01.16.01.005.322.

დანართი N1 ფოტოფიქსაცია

ინსპექტირების ანგარიში შეადგინა
ინსპექტორი: ნინო გელაძე

ინსპექტირების ანგარიში ტექნიკური წესით გადაამოწმა
ინსპექტორი: ნინო გელაძე

ინსპექტირების ანგარიში ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა
ინსპექტირების ორგანოს დირექტორი: ნინო დეკანოიძე

დანართი N1



















